

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## წარმომადგენლობითი საბჭოს

2012 წლის 10 იანვრის სხდომის

### ოქმი №20

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან, ესწრებოდა 27. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი), რომლის დამტკიცების შემდეგ სიტყვა მისცა უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს.

**რექტორი:** დღეს ვატარებთ წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების გაერთიანებულ სხდომას, რომელზეც გვესწრებიან ფაკულტეტების დეკანები. მინდა, თქვენთან ერთად განვიხილოთ დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცება. მოგესხენებათ, რომ პირველი იანვრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იცვლის სტატუსს. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, კერძოდ: აკადემიური საბჭოს, სენატის, რექტორის, დეკანებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ხელახლა არჩევა. ამასთან მიმართებაში შემუშავებულია დებულება, რომელიც გადმოგზავნილი გაქვთ ელექტრონულ მისამართებზე. ზოგადად თუ ვიტყვით, სწორედ ამ დებულების შინაარსის გათვალისწინებით უნდა ჩავატაროთ არჩევნები. რაც შეეხება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის არჩევას, ეს ხდება ფარული კენჭისყრით. აკადემიური საბჭოს წევრებს ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ-სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სენატში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს – ფაკულტეტის

ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. რექტორის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ. ფაკულტეტის დეკანს, აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე არჩევა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ. არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, სენატის, რექტორის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკის დირექტორის და ფაკულტეტების დეკანების შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცემა არა უგვიანეს 2012 წლის 15 იანვრისა და არჩევნები ჩატარდება არჩევნების დანიშვნის თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ გონივრულ ვადებში ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

**სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი გიორგი კულდონაშვილი:** ბატონო არჩილ, მოგესხენებათ, რომ 23 იანვრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იწყება გამოცდები, აკადემიურ საბჭოს და სენატის არჩევნებზე სტუდენტების მობილიზაციასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა, რომ არ იყოს უმჯობესი იქნება არჩევნები გამოცდის პირველივე კვირას დაინიშნოს.

**რექტორი:** თქვენი წინადადება მიღებულია. 21 დღეში მოხდება ვადების ორგანიზება და 25 თებერვალს დაინიშნება სენატისა და აკადემიური საბჭოს არჩევნები.

**სპიკერი:** თუ კითხვები აღარ გაქვთ უნივერსიტეტის რექტორთან, კენჭი ვუყაროთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების დებულებას.

**წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.**

აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს

გაერთიანებული სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების პროექტი.

*კენჭისყრის შედეგად წარმოდგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების პროექტი ერთხმად იქნა მიღებული.*

**სპიკერი:** წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2 წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. წევრები ირაკლი გაბისონია და გიორგი გოგიჩაიშვილი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრებად არჩევასთან დაკავშირებით, პირადი განცხადების საფუძველზე, მოითხოვენ შეუწყდეთ წარმომადგენლობით საბჭოში უფლებამოსილება.

წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 10 იანვრის №20 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების ირაკლი გაბისონიასა და გიორგი გოგიჩაიშვილისთვის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრებად არჩევასთან დაკავშირებით, პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრებად არჩევასთან დაკავშირებით პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდეს უფლებამოსილება ირაკლი გაბისონიას და გიორგი გოგიჩაიშვილს.*

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი